



ქართველობის მართლის

მარტი-აპრილი
2023 წელი

„და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა
მიუწერე: ამას იტყვეს წმიდად და ჭეშმარიტი,
რომელსა აქუს ელიტე დავითისი, რომელი-იგი
განადებს, და არავინ დაპკშას, გარნა განმღებელი
მან, და არავინ განაღოს დაჯშული იგი.“

(გამოცხ. 3.7)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სამინისტროს ურალთვის გაზათი

სრულიად
საქართველოს
კათოლიკოს-
პატრიარქის
სააღდგომო
ეპისტოლა

გვერდი მე-2-3



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის
საერთაშორისო საეკლესიო ურთიერთობები ჩარძღვანება
საპატრიარქოებთან

გვერდი მე-9-11

„ახალგაზრდული ფორუმი
ედგრადი განვითარებისა და
ეკონომიკური განვითარების“

გვერდი მე-5

აკადემიის მიწიდა უგრებელიმის
სახარო ღმერია სასულიერო
აკადემიასა და სამინისტრო



გვერდი მე-4

კატრიარქის თაოსნობით
დაარსებული საგანგანოლებლო
კირები

გვერდი მე-7

დავით გეჭაძე - თეოლოგიის
აკადემიის მაგისტრი

გვერდი მე-6

თვალსაზრისი

გვერდი მე-16

ხას ერიან -

მსახიობ რუსულან ფერვაშვილის, რეზისორ ავთონ ვარსიმაშვილის
ნარილები, პოეტ თარიელ სარსალაურის ლექსი

გვერდი მე-8



სრულიად საქართველოს პათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლა

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მოხოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

„გამოვიდა სიძე ჯოჯოხეთიდან, მკვდრეთით აღდგა ძლიერებით შემოსილი, სიკვდილი დათვა უნა და ტყვენი გაათავისუფლა“ (წმ. ოთარე აქროპორი)

ქრისტე აღდგა!

დგება უამი ახალი პასექისა!

დღეს ზეიმობს ცა და მიწა, ხილული და უხილავი სამყარო; რა თქმა უნდა, ვზემობთ ჩვენც, რადგან ამ სასწაულით დასრულდა ამქვეყნად მაცხოვრის ღმერთკაცობრივი, გონებისთვის მიუწვდომელი ღვაწლი, ჩვენი ხსნისათვის გაღებული.

ამპარტავნების გამო აკრძალული ხისკენ ადამის გაწვდილი ხელის ნაცვლად, მწყემსი კეთილი საკუთარ ხელს იწვდის ჯვარზე მისამსჭვალად, განდიდების ნაცვლად თავზე ეკლიან გვირგვინს იდგამს და ჩვენი ცხონების სანაცვლოდ, თავის სიცოცხლეს სწირავს.

ამ საოცარმა მსხვერპლმა სიკვდილისა და ჯოჯოხეთის საკვრელთაგან იხსნა ძველი აღთქმის მართალთა სულნი, ადამიდან და ევადან ვიდრე ქრისტეს აღდგომამდე შესვენებულნი და ცათა სასუფევლი დაუმკვიდრა მათ.

აღდგომის შემდეგ კი, სასუფევლის კარი ღიაა უველა ქრისტიანისთვის, რომელიც სულით და ხორცით განწმენდილი წარდგებიან ღვთის წინაშე. ასეთ ადამიანთა სულებს ჯოჯოხეთი უკვე ვეღარ ეხება და გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შემდეგ ისინი უფლის საგანეთა შინა განისვენებენ.

ამ სიხარულს ათასწლეულთა მანძილზე ელოდნენ თაობები.

უფალი მოვიდა, რომ წინაძღვრად ექცეს ჩვენს აზრს, გრძნობას, მოქმედებას, სულისა და გულის წადილს; რომ დაგვეხმაროს, შემოვბრუნდეთ და გამოგასწოროთ ჩვენი დაცემული ბუნების ნაკლოვანებანი; სულიერად გავიმართოთ და ჩვენი ცხოვრება მარადიულად მოზემე ზეცისკენ მიმავალი გზის დასაწყისად გაციოთ.

რა თქმა უნდა, ჩვენს სულსა და სხეულში ფესვგადგმული ცოდვისაგან თავის დახსნა ჭირს, რადგან ეშმაკი ათასნაირ მახს უგებს მორწმუნეთ, რომ ღვთის გზა დაავიწყოს.

ამიტომაც ყველა ქრისტესმოყვარეს აუცილებლად ეკლიანი და ვიწრო ბილიკის გავლა მოუწევს და ამისათვის მზად უნდა ვიყოთ.

დრო ისედაც დამძიმდა, მაგრამ არ შედრეთ! მთავარია, ნებისმიერი ვითარებიდან სწორი დასკვნა გამოვიტანოთ, ღმერთის არ განვეშოროთ და მუდამ გახასოვდეს მისი სიტყვები: „მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, შენი მარჯვენის განმამტკიცებული, მთქმელი შენდა მომართ: ნუ გეშინია, მე შეგწევი“ (ეს.41.13); გვახსოვდეს და გჯეროდეს ისიც, რომ ბოლოს მაინც „უფლის მორწმუნეთ ყოველივე კეთილად წარემართებათ“.

უფალი ყველას სიყვარულით ელის თავისთან, განსაკუთრებით - მონაცენულ ცოდვილთ, თუნდაც რომ მეთერთმეტე უმისი მუშაქი იყვნენ ისინი და ზეცისკენ მიმავალ აღმართზე შედგომასა და თანადგომას სთავაზობს მათ.

ასე რომ, წუთისოფლის ყოველი დღე მორწმუნეთათვის სულიერ სიკვდილ-სა და სიცოცხლეს შორის ბრძოლის ასპარეზია. ამ ბრძოლაში გამარჯვება გვმართებს. სხინის გზა გაკვალულია, მის გასავლელად კი ყველას პიროვნულად ჩვენი შრომა გვაქეს გასაწევი.

„სასუფეველი ცათა იძულების; და რომელი აიძულებდენ, მათ მიიტოვონ იგი“ (მთ. 11, 12), - გვასწავლის მაცხოვარი; ანუ ცათა სასუფეველი დიდი ძალისხმევით მოიპოვება და ვინც ამ ღვაწლს გასწევს, ის დაიმკვიდრებს მასში ადგილს.

• • •

როგორც აღვნიშნეთ, მაცხოვრის აღდგომის შემდეგ ძველი და ახალი აღთქმის მართალთა სულნი ღვთის საუფლოს მკვიდრნი გახდნენ და ხდებიან, მაგრამ მხოლოდ სულით მყოფობა ცათა შინა ჩვენთვის არ არის სრულყოფილი მდგომარეობა.

მაცხოვრის გამომხსნელობითი ღვაწლით სული თავის უხრწელ სხეულს აუცილებლად შეიმოსავს და როგორც ჯვარცმით მართალთა სულნი ერთიანად დახსნილ იყვნენ ჯოჯოხეთის ტყვეობისაგან და ზეციურ დიდებაში გადაინაცვლეს, ასევე ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ მოხდება მკვდართა საყოველთაო აღდგომა.

„მოისმენ საფლავში მყოფნი ღვთის ძის ხმას და გამოვლენ სიკეთის



მოქმედნი სიცოცხლის აღდგომაში, ხოლო უკეთურებათა მოქმედნი სასჯელის აღდგომაში“ (ინ.5:28-29).

გარდაცვლილ მართალთა სვედრზე კი ასე წერს წმინდა წერილი: „ითე-სება ხრწინილებაში და აღდგება უხრწნელებაში, ითესება უძლურებაში და აღდგება ძლიერებაში, ითესება უპატიობაში, აღდგება დიდებაში, ითესება შეინიგორი სხეული და აღდგება სულიერი სხეული“ (1კორ. 15:42-44)

და მაინც, რა არის ამის საფუძველი?

იესო ქრისტეს მიწიერი მყოფობა, ჯვარცმამდეც და ჯვარცმის შემდეგ ამაღლებამდეც, ნებისმიერი დროის მორწმუნე ქრისტიანისთვის ცხოვრებისა და აზროვნების წესის განმსაზღვრელია და „თუ გვწამს, რომ იესო მოკვდა და აღდგა, ასევე ღმერთი მათაც (მართლებს), რომელიც დაძინებული (გარდაცვლილი) არიან, თავისთან მიიყვანს იესოს მიერ“ (1თეს. 4:14), ე.ი სასუფევლისათვის აღადგენს სხეულებრივად.

როგორც აღნიშნეთ, ეს დღე ყველა მიცვალებულისათვის მეორედ მოსვლის შემდეგ დადგება, მაცხოვარმა კი აღდგომისთანავე უხრწნელი სულიერი სხეული შეიმოსა და გახდა პარმშო შესვენებულთა (გამოცხ. 1,5).

წმინდა სახარება ბრძანებს რომ, იესო ქრისტე ასეთი სახით ორმოცი დღის მანძილზე ეცხადებოდა მენელსაცხებლე დედებს, თავის მოწაფეებს, გამოეცხადა ხუთასზე მეტ აღამიანსაც...

თავდაპირველად ვერც დედები და ვერც მოწაფენი ვერ იჯერებდნენ, რომ იგი აღდგა და ცოცხალია, რადგან აწ უკვე უხრწნელი, უკვდავი და უვნებო მისი სხეული სახეცვლილი იყო. მაგრამ ამ დღეების მანძილზე მათ მიეცათ მტკიცე რწმენა და ცოდნა ცათა სასუფევლში სულიერი სხეულით შემოსილ რჩეულთა მომაგალი მყოფობის შესახებ, რომელთაც მაცხოვრის მსგავსი უხრწნელი სხეული ექნებოდათ და გააცნობიერეს საბოლოო და უმთავრესი მიზანი ღვთის განკაცებისა, - სრულყოფილი სახით, სულისა და უხრწნელი სხეულის ერთობით, - მარადიული სიცოცხლისა და სიხარულის მინიჭება ადამიანისთვის, ანუ აღდგენა მისთვის იმ მდგომარეობისა, რისთვისაც და როგორადაც იგი შეიქმნა.

ამიტომაც, როდესაც მოწაფებმა ცად ამაღლებული იესო ქრისტე იხილეს, სიხარულით აღვსილი დაბრუნდნენ იერუსალიმში.

თუ მათ ჯვარცმისას უფალი მიატოვეს და ძრწოდნენ ქვეყნის მთავართა და მღვდელმთავართა შიშით, ახლა განძლიერდნენ; სულთმოფენის შემდეგ კი დიდ საიდუმლოებებს ზიარებული იმდენად განმტკიცდნენ, რომ მზად იყვნენ უკვდავი და უკველებელი შინაშე და უკველებელი მისამართი მისთვის და უკველებელი მისთვის.

ეს რწმენა მოციქულებმა მთელ მსოფლიოს მოპონინეს.

უკველივე ეს
საფუძველია მთელი

► მასამა გვარადზა

კავშემისა მიღებია უგრეხელიას ლექცია სასელიარო კავშემიაში

6 აპრილს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რეგიტორის, პროტოპეტესვიტერ გიორგი ზვიადაძის მოწვევით სასწავლებელს სტუმრობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სამართლის დიქტორი, პროფესორი მინიჭია უგრეხელიძე.

თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარი-აში საჯარო ლექციათა ციკლის ფორმატში საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრა იმ დიდი ტრადიციის გაგრძელებაა, რომელსაც ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის რექტორად ყოფნისას (2005-2009 წწ.) დაუდონ სათავე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

შეხვედრა გახსნა და სტუმარს მისასალმებელი სიტყვით მიმართა რექტორმა, პროფორესვიტ-ერმა გიორგი ზეიადაძემ. მან მინდია უგრეხელიძის პიროვნულ ღირსებებზე, მოღვაწეობის მასტებასა და დამსახურებებზე გაამახვილა დამსწრეთა ყურ-ადლება და სასწავლებელში ამგვარი შეხვედრების აუცილებლობაზე ისაუბრა. თბილისის სასულიერო აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ნარმომადგენელმა ელისაბედ აბულაძემ მინდია უგრეხელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოუთხრო აუდიტორიას და მისი საქმიანობისა და დამსახურების ვრცელი ჩამონათვალიდან რამდენიმე ასპექტი გამოჰყო: მინდია უგრეხელიძის სახელს უკავშირდება იურისპრუდენციაში მასტებური ცვლილებები, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ იგი იყო უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე (1990-1999 წლებში) და მისი რეფორმატორი; საქართველოს ევროსაბჭოში განევრიანების შემდეგ კი - პირველი ქართველი მოსამართლე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში (1999-2009 წლებში); საერთაშორისო მართლმსაჯულებამ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში ნარმატებით გამოიყენა მიზეზობრიობის ქართული კონცეპტი (ცნობილი ქართველი სამართალმცოდნის თინათინ წერეთლის ფორმულა) ერთ გახმაურებულ საქმეზე, რაც მინდია უგრეხელიძის, როგორც დიდი პალატის მომხსენებელი-მოსამართლის წინადადებითა და ქართული გამოცდილების წყალობით, შემდგომში საფუძველად დაედო მსგავსი საქმების განხილვას, რაც იყო უიშვიათესი შემთხვევა ეროვნული იდეების საერ-

თაშორისო იურისპრუდენციაში დანერგვისა; მინდია უგრებელიძის თაოსნობით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, ჩამოყალიბდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დღევანდელი 254-ე მუხლის რედაქცია, რომელმაც კულტურის ძეგლების დაცვა სრულიად ახალ

მრინციპებს დააფუძნა; მისივე ინიციატივით, სისხლის სამართლის მოქმედ კოდექსს ამშვენებს მე-8 მუხლი მიზეზობრივი კავშირის შესახებ, რაც ერთად-ერთი შემთხვევაა ევროპაში ურთულესი პრობლემის საკანონმდებლო რეგულაციისა და სხვა მრავალი... მინდია უგრეხელ-იძეს ეკუთვნის 170-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია. ისინი გამოქვეყნებულია 10 უცხოურ ენაზე (რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, პოლონური, იტალიური, ბერძნული ...), 14 ქვეყანაში (რუსეთი, უკრაინა, გერმანია, საფრანგეთი, ვენე-სუელა, პოლონეთი, კანადა, შვეიცარია, იტალია, სომხეთი, აზერბაიჯანი, ასტრაზენეკარიო ...).

ვიდრე სასამართლოა. აქ ყველაზე მეტი პროცედუ-
რული წესი, სტანდარტი და „მეხამრიდა“ გათვალ-
ისწინებული საიმისოდ, რომ ადამიანის უფლებრივი
მდგომარეობა საიმედოდ იყოს დაცული და უზრუნ-
ველყოფილი.



ლექციის ბოლოს ბატონმა მინდიამ მეტად უშუალოდ, ემოციურად, ხატოვნად ისაუპრა მასწავლებლებზე, რომლებმაც განსაზღვრეს მისი პროფესიული არჩევანი და პიროვნული ცხოვრების გზა. განსაკუთრებული სითბოთი და პატივისცემით გაიხსენა თავისი დიდი მასწავლებელი, ქართული სამართლებრივი სკოლის გამორჩეული ნარმომადგენელი - თინათინ წერეთელი. აღნიშნა, რომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა სწორედ ამ დიდი სამართალმცოდნის მიერ არის შთაგონებული. ბატონმა მინდიამ გამორჩეული პატივისცემა და მადლიერება გამოხატა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მიმართ. ისაუპრა მის განუსაზღვრელ ღვაწლია და დამსახურებაზე ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს წინაშე, გაიხსენა პატრიარქთან ურთიერთობის რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდიც.

შეხვედრის ბოლოს პატონმა მინდიამ მსმენელთა შეკითხვებსაც უპასუხა.

პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, მადლიერების ნიშანად, საპატიო სტუმარს სამახსოვრო საჩუქრები - წმინდა გიორგის ხატი და მრავალებროვანი ბიბლიია - გადასცა.

ପ୍ରକାଶକ ପତ୍ର

ვუმასპინძლეთ არქიმანდრიტ გალსელიონს ღიმიტრიონს პარაგეონგიუსა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით სასულიერო აკადემიასა და

სემინარიაში ლოდის (ისრაელი) წმინდა გიორგის
ტაძრის წინამდებარება, არქიმანდრიტმა მარკე-
ლიოს დიმიტრიოს კარაგეორგიუსმა საჯარო

ბლობას, საბოლოოდ კი ამერიკასა და კანადაში (ათონის მთის ანალოგით) აარსებს 20 მონასტერს.

არქიმანდრიტი მარკელიოს დიმიტრიოს ჩვენი სასწავლებლის მსმენელებს არიზონის სავანის ტიპიკონზე, ზოგადად, სამონასტრო ცხოვრების მადლსა და სირთულეებზე, სათნოებათა მოხვეჭის გზებზე ესაუბრა. 1997 წლიდან იგი თავად ყოფილა ეფრემ ბერის უშუალო მონაცე წმინდა ანტონის მონასტერში, მანამდე კი საპერძეოთა და ამართლუაში საუნივერსიტატო აანთლობება მიუღია.

შეხვედრის დიდი ნაწილი დიალოგის ფორმით
წარმომართდა.

საპატიო სტუმარს სასწავლებლის პროცედურებით და დიაგნოსტიკური მომენტების დროის გადასცეს სასულიერო საუბრისათვის და საჩუქრად გადასცეს სასულიერო აკადემიის მიერ გამოცემული წიგნები.



კონტაქტები

„ასაღვარო უორამი ედგრალი გაცილენისა და ეპილიტერასისათვის“

31 მარტს თბილისის სასულიერო
აკადემიამ და სემინარიამ „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამინის ბეგობრები - საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ ფორუმს უმასპინძლა. „ახალგაზრდული ფორუმი მდგრადი განვითარებისა და ეკორონონტეგრაციისათვის“ მთელი საქართველოს მასშტაბით იმართება და მიზნად ისახავს ახალგაზრდების ინფორმირებულობას, ჩართულობა-თანამონაწილეობას კვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიზანით.

სამინისტრო, საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
და შვედეთის სამეფოს საელჩო
საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ ფორუმის
ფარგლებში გაფორმდა ურთიერთ-
თანამშრომლობის გამორჩეული
თანამშრომლობის სასულიერო აკადემიასა
და „საქართველოს მცველობის მოწ-
რაობა - დაძამინის გამოყრები -
საქართველოს“ შორის.

სენებების მომზადებასა და დისკუსიის
ნარმართვაში სტუდენტებს განსაკუ¹
თრებული მხარდაჭერა და დახმარება
გაუწიეს თბილისის სასულიერო აკა²
დემიისა და სემინარის პროფესორმა
დეკანოზმა ბიძინა გუნიამ, ქრისტიან
ული ფსიქოლოგის კათედრის გამგემი
ფსიქოლოგის დოქტორმა ირმა ხურ
ციამ და არქიტექტურის დოქტორმა
პროფესორმა მედეა მელქაძემ.

ფსიქოლოგიის მიმართულების | კურ-
სის სტუდენტი).



ბეჭის მიღების პროცესში, ინვაციური ხედვების წარმოჩენასა და ასახვას, მათ შორის, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით.

ფორუმის მხარდამჭერია საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

მავრიკიალუს ხელი მოაწერა
თგილისის სასულიერო აკადემიისა
და სამინისტროს რეპტორება, პრო-
ფორციას ვიზუალურა გილრმი ზეიალუ-
რა და „საქართველოს მცველობისა
მოძრაობა – დედამიწის მეგობრების
– საქართველოს“ თავმდებომარებ
ნინო წერებულია.

თორუმზე წარმოდგენილი მოხ-

მომხსენებლები:

1 ໂດຍ ລາຍລັອດ ອະນຸມິດຕະກິບ ລາວເຕັມ ປຶກ

1. დრიაკუპის მომატებულებების გუგუშებისა
ლი (აკადემიის | კურსის სტუდენტი);
2. ლიკა ჟვანია (ქრისტიანული

მომხსენებლები:

1. კუპასე კულტურის (თეატრულებულის) მიმართულების III კურსის სტუდენტი);
2. ნინო გრიგალაშვილი (არქიტექტურის მიმართულების III კურსის სტუ-
დენტი).

3. რომან გაგნიძე (არქიტექტურის
2. 2. 1. მთავრული და მაღალი კულტურის)

4. ნიკოლოზ კუხალაშვილი (არქ-იტექტურის მიმართულების III კურსის

ପାତ୍ରଙ୍କିତ ମହାନ୍ତିର ପାଦମୁଖ

ფაკულტეტის სტუდენტები - გიორგი
სი) და ლიკა უვანი (ლიკურსი). გიორგი
ენების თემა იყო „ცხოვრების ჯანსაღი
ოპორაობა ძრისაზიანო ანთროპოლო-

„ ხოლო ლიკა უვანიამ წაიკითხა მოხე - „ადამიანის რაობა და არსი“. არ-მიმართულების III კურსის სტუდენტმა აშვილმა მონაწილეობა მიიღო მიზნის ური განვითარება და ევროპინტეგრა-ტციელებისათვის მომუშავე სტუდენტ-მისი მოხსენების თემა იყო „მდგრადი, ქექტურა - ეკოლოგიური რევიტალი-ციიალური პროგრამები.“ ღონისძიების ჩერქმა განსაკუთრებული მადლობა მისილისის სასულიერო აკადემიისა და ირმომადგენლებს ფორუმში მონაწილე-ტერესო, კვალიფიციური მოხსენები-

forumis daskvni Ti RonisZieba



„შესპერა საქველმოქმედო ორგანიზაცია
„საქალთველოს კარიტასის“ მოსწავლეებთან

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტისა და კათედრის თანამშრომლები სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ საქალმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს კარიტასის“ მოსწავლეთა დღის ჩატარებაზე.

ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი თეა ბეჟუაშვილი და კათედრის გამგე რუსუდან ვაშალომიძე დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს ესაუბრნენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის - საქართველოში უპირველესი სააკადემიურო სასწავლებლის - მისიაზე, მის უფროლეს

ტრადიციებსა და დღევანდელობაზე, არსებულ სასწავლო პროგრამებზე, სწავლების მეთოდებსა და თავისებურებებზე. ვრცლად მიმოიხილეს ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზანდასახულობა და სწავლების მითითობა.

ფაკულტეტის დეკანმა თეა ბეჟუაშვილმა აპიტურიენტებსა და პედაგოგებს გააცნო სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში მისაღები გამოწვების სპეციფიკა. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს სკოლა-ინტერნატის დღის ცენტრის შემოქმედებითი სახელოსნოები, სადაც მოსწავლეები უფლებიან ლითონის, ხის, ქვის, ქსოვილების მხატვრული დამუშავების ტექნიკას, სწავლობენ ხატწერას, მუშაობენ მინანქარზე.

შეხვედრამ საქმიან, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დავით გარეაპა - თაოლოგის ახალი განისტრი

30 მარტს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში თეოლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად საღვთისმეტყველო ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა და-ვით გენაძემ წარადგინა სამაგისტრო ნაშრომი - „ყოვლადწმინდა სამების დოგმატის ტერმინოლოგიის ისტორია IV საუკუნეში“.

ବାଶ୍ରମିତି ମନ୍ଦିରକାଳେ ପ୍ରକାଶିତ ପାଠକାଳେ ପାଠିଲାଏଇବୁ ପାଠକାଳେ ପାଠିଲାଏଇବୁ

სასულიერო აკადემიის დეკანმა, დეკანოზმა ოთახი კვანძითან დამსწრეთ გააცნო მაგისტრანტის პიოგრაფია, ისაუბრა სასულიერო განათლების დასაუფლებლად მის სიბეჭიოებზე და განსაკუთრებით გამოყო საკვლევი თემის სრულყოფილად წარმოსაჩენად დავით გენაძის მრავალმხრივი მუშაობა.

ଦେବଗୁଣବ୍ରତାକ୍ଷରିସ ନାଶରମାସ ଆସ୍ରେ ମାଲାଲୀ ଶୈଜାଶେଷା ମିଳେଥାଏଲାମା, ଅର୍ପାନାଥିମା ମାଜେସିମେ ଫୁନ୍କ୍ଷନ୍ଟୁରିମା

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორობა, პროფესორმა გვანცა კოპლატაძემ კრატიულებით აღნიშნა მაგისტრატულის შრომის მოყვარულობა.

პატრისტებისა და დოგმატიკის კათედრის გამგებ, თეოლოგისა და ფილოლოგის ღოქტორმა, პროფესორმა ედიშერ ჭელიძემ აღნიშნა, რომ თემაზე მუშაობის დროს დავით გენაძეს რიგ საკითხთა გარკვევის მიზნით ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა კათედრაზე პედაგოგებთან და თუ მაგისტრანტი გააგრძელებს შემდგომ სალვოსმეტყველო კვლევას, სასურველი იქნება მისი გამოქვეყნება.

სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვანაძემ მაღლობა გადაუხადა ფაკულტეტის დეკანს, მაგისტრანტის ხელმძღვანელს და რეცენზენტს სამაგისტრო დაცვის სანიმუშოდ წარმართვისთვის და აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო სრულყოფილი ხდება ეს პროცესი, მასში მონაწილეობენ არამხოლოდ სალვოტოსმეტყველო ფაკულტეტის პედაგოგები და სტუდენტები, იგი საყოველთაო გახდა სხვა სპეციალობების კათედრებისა და სასწავლებლის განყოფილებების თანამშრომლებისთვისაც, რაც უდაოდ მისასალმებელია.

მაგისტრანტ დავით გერაძის ნაშრომი - „ყოვლადწმინდა სამების დოგმატის ტერმინოლოგიის ისტორია IV საუკუნეში“ ქრისტიანული ღვთისმეტყველების ისეთ ფუნდამენტურ საკითხს ეხება, როგორსაც სამების (ტრინიტარული) დოგმატი წარმოადგენს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამების დოგმატი ქრისტიანული ეკლესიის პირველი ოთხი საუკუნის განმავლობაში მრავალგვარი დავისა და დაპირისპირების საგანი იყო, რის საფუძველზეც ბევრი ერთ-ტიკული სწავლება აღმოცენდა.

ყოველივე ამის საპირისპიროდ
ეკლესიის მამები ისეთი ტერმინოლოგი-
ური ფორმულირების შემუშავებას ცდი-
ლობდნენ, ზუსტად რომ გადმოსცემდა
ყოვლადწმინდა სამების დოგმატს, რის
აღსასრულებლადაც მათ დიდი ძალისხ-
მევა დასჭირდათ, რათა ზუსტი ტერმი-
ნებით გადმოეცათ საღვთო ჭეშმარიტება.
ამაში უდიდესი წვლილი შეიტანეს წმინდა
ათანასე დიდმა და კაბადოვიულმა წმინდა
მამებმა (ბასილი დიდმა, გრიგოლ დვითისმ-
ეტყველმა, გრიგოლი ნოსელმა), რომელთ-
აც დიდი ერუდიციისა და მაღალი სული-
ერების წყალობით შეძლეს ტრინიტარული
დოგმატის იმგვარად ფორმულირება, რა-
საც დღეს აღიარებს მართლმადიდებლური
ეკლესია.

უმთავრესი ერესი, რომელმაც ტრიადოლოგიურ პრობლემატიკას განსაკუთრებული სიმძაფრე შესძინა, იყო არიან-ელობა, ალექსანდრიელი ხუცესის - არიზის - (კრუსნა ვლება).

არიოზის ცრუსნავლებას წინ აღუდგა
წმინდა ალექსანდრე ალექსანდრიოლი და
320/321 წოლიშვილი ადგილობრივ კრიბაზა



დავით გენაძე, დეკანოზები მაქსიმე ჭავანტურია, იოანე კვანძიანი,
პროფესორი გვანცა კოპლატაძე სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ

დროის 362 წლის კრებამ მეტნაკლეად შეძლო მათი შინაარსობრივად გამიჯვენა მაგრამ მათ შორის მკვეთრი ზღვარი გავლება, ჰიპოსტასისთვის ახალი შინაარსის მიცემა დიდი კაბადოკელი მამები - წმინდა ბასილი დიდის, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველისა და წმინდა გრიგოლ ნოსელის სახელს უკავშირდება.

ნაშრომის მეოთხე თავი სწორედ აასკითხს ქდლვნება და მასში გადმოცემულია კაბადოკიელთა ღვაწლი ამ უმინშევნელოვანესი და ურთულესი მისის შესრულების საქმეში. არსისა და ჰიპოსტასის ტერმინებს წმინდა ბასილი დიდი თავის უმცროს ძმას, წმინდა გრიგოლ ნოსელი განუმარტავს 38-ე წერილში, სადაც მან ეს ტერმინები ისე გამიჯვნა, რომ დაესაბუთებინა სამი პირის, როგორც ონტოლოგიური არსებობა, ისე მათი არსობრივი თვისებების სრული იგივეობა, ანუ ბუნებითი ერთობა. ამისთვის წმინდა ბასილმა „არსისა და ჰიპოსტასის“, ზოგადისა და კერძოს საერთოსა და კონკრეტულის დასაპირის სპირტბლად არისტოტელეს ლოგიური საშუალებანი გამოიყენა. წმინდა ბასილთან ჰიპოსტასი იგივეა, რაც არისტოტელეს პირველი „უსია“ (არსი), ხოლო არსი წმინდა ბასილთან არისტოტელეს მეორე „უსიას“ - ზოგადს უიგივდება. წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სწავლება სამების შესახებ მის მე-40 სიტყვაშია გადმოცემული რომელიც ფაქტობრივად არის გაგრძელება ბა წმინდა ბასილის მიერ გადმოცემული სწავლებისა. წმინდა გრიგოლის ტერმინოლოგის თავისებურებათა რიცხვს მიერ კუთვნება შემდეგი:

1) თანამიმდევრულობა და დასრულებულობა. წმინდა ბასილი ჰიპოსტასურ თავისებურებებს მიუთითებს ნაწილობრივ წმინდა სამების თითოეული პირი მყოფობის სახით (მამობა, ძეობა, გამომავლობა), ხოლო ნაწილობრივ - თითოეული მოქმედების სახით (სინმინდე, ძალა, განმეონდელი). წმინდა გრიგოლი ჰიპოსტასურ თავისებურობის მიუთითებს, მხოლოდ

მყოფობის სახით (უშობელობა, შობილობა, გამომავლობა).

2) მმინდა ბასილის სწავლებაში
ჰიპოსტასი აღნიშნავს მკვეთრად შემო-
საზღვრულ, განცალკევებულ, ინდივიდუ-
ალურ მყოფობას. იგი თავს არიდებს
გაუთანაბროს ცნებას - „პროსოპონ“; წმინ-
და გრიგოლი ამ ორ ტერმინს აახლოებს
და ამით ამსუბუქებს პირთა განსხვავდის
იდეას და მკვეთრად წამოსწევს წინ მათ
ბენებით ერთობას.

კაბადოკიური სკოლის მესამე დიდი
ნარმომადგენელი წმინდა გრიგორ ნოსელი
სამების დოგმატის ასე აყალიბებს: „საღვთო
ცხოვრების სისავეს გამოიხატება ერთარ-
სი და განუყოფელი სამების საიდუმლო-
ში“. ამ დოგმატის გადმოცემისას წმინდა
გრიგორი იყენებს წმინდა ბასილის მიერ
შემოთავაზებულ ტერმინოლოგიას და გუ-
ლისხმობს არსების (ბუნების ანუ უსიაბას)
ერთობასა და ჰიპოსტასთა განსხვავებას.
იგი ორ პუნქტში ავლენს ორიგინალობას:
1. ჰიპოსტასთა თვისებების განსაზღვრასა
და 2. ჰიპოსტასთა ერთობის დამტკიცების
მეთოდი - თვისებები განისაზღვრება.

წმინდა გრიგოლ ნისელის მიხედვით,
მამა ღმერთს მყოფობის წყარო აქვს სა-
კუთარ თავში, ხოლო ე და სულინმინდა
არიან მამისგან. ის ჰიპოსტასური თვისე-
ბა მისი მხოლოდშობილობაა, ხოლო სუ-
ლინმინდისა არის ის, რომ იგი არ იშვება,
არამედ გამოდის მამისაგან ის მიერ (ამ
შემთხვევში წმინდა გრიგოლის აზრი არ
თანხმობა დასალოოზ დოკორები).

ყოვლადწმინდა სამების დოგმატის
ტერმინოლოგია საბოლოოდ დამტკიცდა
კონსტანტინოპოლის II მსოფლიო საკულტ-
ურო კრისტიან 381 წლის

კრების მთავარ დოგმატურ განსაზღვრებას მისი სიმბოლო წარმოადგენს, რომელსაც ადრეულ ეპოქაში 150 წინძღვანდა მამის მრნამსად მოიხსენიებდნენ, ხოლო შემდგომში მას „ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლო“ ეწოდა.

**କାନ୍ତିରାଜାରଙ୍ଗପିଲ ପାତ୍ରବେଶମରାଜାର ଦାନାରେଖଣ୍ଡା
ବାହାମାରାମାରାଜାର ପାତ୍ରବେଶମରାଜାର କାନ୍ତିରାଜାର**

უნიტიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვნითისა და ცხემლ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის თაოსნობით არაერთი უმაღლესი, საშუალო და პროფესიული სასწავლებელი დაარსდა. ილია მეორე პატრიარქად აღსაყდრების პირველივე დღიდან შეუდგა განათლებასა და მეცნიერებაზე ზრუნვას. მის სახელთან არის დაკავშირებული 1988 წლის 14 ოქტომბერს უმაღლესი საავთისმეტყველო სკოლის – თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დაფუძნება. სასწავლებლის გახსნის საზემო ცერემონიალზე პატრიარქმა განაცხადა: „ჩვენ არ უნდა მოვწყდთ ჩვენს ფლევებს. თბილისის სასულიერო აკადემიამ უნდა იმემკვიდროს ის უდიდესი ტრადიცია, რაც აკავშირებული იყო გელათის საავთისმეტყველო სკოლასთან. ეს აკადემია უნდა გახდეს მაღალი სამეცნიერო ცოდნისა და სულიერების კერა“.

უმაღლესი საავთისმეტყველო განათლების გარდა, პატრიარქისთვის მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ახალგაზრდებს ხელსაქმე შეესწავლათ, პრატეტიკული, შრომითი უნარ-ჩვევები გამოყენებინათ. ცნობილია, რომ საეკლესიო მოძღვრებით, ხელსაქმე, გარჯილობა ვალდებულებაა ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის. ხელსაქმეს მისდევდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელიც - აბრეშუმს ართავდა. პატრიარქის ძალისხმევით, სასულიერო აკადემიის ბაზაზე დაარსდა პროფესიული საგანმანათლებლო სკოლები, სახელოსნოები, კერძოდ: ქართული საეკლესიო ნაქარგობისა და ტრადიციული ნაქარგობის, თექა-ბატიკის, მებაღეობის, ქართული საეკლესიო გალობისა და სხვა... .

პატრიარქი ყოველთვის განსა-
კუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა
ახალგაზრდებში ანალიტიკური აზ-
როვნების უნარ-ჩვევათა განვითარე-
ბას, სასულიერო აკადემიისა და სემი-
ნარიის რეგულორობის წლებში თავადაც
სისტემატურად მართავდა შემცე-
ნებითი ხასიათის საუბრებს, სტუდენ-
ტებთან ერთად მსჯელობდა ქვეყნისა
და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან
საკითხებზე. სასულიერო აკადემიასა
და სემინარიაში იმართებოდა დაუვინუ-
არი შეხვედრები ლიტერატურის, მხატ-
ვრობის, კინოსა თუ ხელოვნების სხვა

დარგის წარმომადგენლებთან.

პატრიარქის საგანმანათლებლო
ინიციატივამ მთელი საქართველო
მოიცვა. 1995 წელს ილია მეორის თა-
ოსნობითა და ლოცვა-კურთხევით,
ქუთაისში დაარსდა წმინდა გაბრიელ
ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო
სემინარია. მის სახელთან არის დაკა-
ვშირებული აღდგენა და ფუნქციონი-
რება გელათისა და იყალთოს აკად-
ემიებისა, რომლებსაც უდიდესი როლი
ენიჭებათ საქართველოს უსლტურულ-
საგანმანათლებლო ჯხოვრებაში.

2005-2008 წლებში განათლების
სისტემაში მიმდინარე მტკიცნეული
პროცესების გათვალისწინებით, ილია
მეორემ გადაწყვიტა საპატრიარქოს წი-
ალში დაეკარსებინა საერო უნივერსიტე-
ტი, რომელიც გააგრძელებდა ივანე-
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
უნივერსიტეტის ტრადიციებს.

2008 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს საპატიორქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საზეიმო გახსნაზე უწმინდესმა ილია მეორემა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მიმართა: „ჩვენს ცხოვრებაში არის მოვლენები, რომლებიც აღემატება დღევანდელობას. ასეთი მოვლენის წინაშე ვდგავართ დღეს. ჩვენ ვიხსენებთ დავით აღმაშენებლის დროს, როდესაც იხსენებოდა გელათის, იყალთოს აკადემიები, ჩვენ ვიხსენებთ დავით აღმაშენებლის იუცნებას, რომ გელათის აკადემია უნდა ყოფილიყო მეორე იერუსალიმი და თავისი სულიერებითა და მოღვაწეობით და „ახალი ათინა“ თავისი დიდი მეცნიერებით და აი, დღეს იხსენება საკულტურის უნივერსიტეტი, რომლიც არის მემკვიდრე გელათის აკადემიისა“.

კლიმენტი ალექსანდრიელი თავისი
ისტორიულ ნაშრომში აღნიშნავს, რა
ურთიერთდამოკიდებულებაა ცოდ-
ნასა და რწმენას შორის და ამბობს,
რომ პირველადი არის რწმენა და მასზე
დაშენებულია ცოდნა, რომ მორწმუნე-
ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო
მორწმუნე და განათლებული ადამიანი
- მეგობარი ღვთისა. გავიხსენოთ თუ-
დაც პეტრიწონის მონასტერი, სადაც
სატრაპეზოს კედლები მოხატული იყო-
ანტიკური დროის ფილოსოფოსთა პორ-
ტრეტებით. ფილოსოფია მსახურია თე-
ოლოგიისა, ამ უნივერსიტეტის დევიზიც
ასეთია: „ნოსე ტე იფსუმ“, ანუ „შეიცან
თავი შენი“.

თბილისის, გელათის, იყალთოს
სასულიერო აკადემიების გახსნის შე-
მდეგ, პატრიარქის ხელშეწყობით,
2008 წლის 16 აპრილს, მთიან აჭარაში
დაარსდა შუახევის წმინდა აბუსერიძე-
ტბელის სახელობის სასწავლო უნი-
ვერსიტეტი. მისი რექტორია ეპისკოპ-
ოსი სპირიდონი (აბულაძე).

2009 წლის 12 მარტს თბილისში
გაიხსნა წმინდა თამარ მეფის სახელო-
ბის მედიცინის ონსტიტუტი, რომელიც
2011 წელს გადაკეთდა სასწავლო უნი-
ვერსიტეტად, მისი რექტორია მედი-
ცინის მეცნიერებათა დოქტორი, არ-
ქიმიანდრიტი ადამი (ახალაძე). 2012
წლიდან სასულიერო აკადემიასა და
სემინარიასთან არსებული ხალხური
სიმღერებისა და გალობის უმაღლესის
სკოლა გადაკეთდა საქართველოს სა-
პატრიარქოს გიორგი მთავრმიდელის
სახელობის სასწავლო უნივერსიტე-
ტად, რომლის რექტორია არქიმნ-
დრიტი იოანე (კიკვიძე). სასწავლებელი
ამზადებს საეკლესიო გალობისა და
ხალხური სიმღერის სპეციალისტებს.
ამჟამად საქართველოს საპატრიარ-
ქოს სასულიერო სემინარები აქვთ
ახალციხეში - წმინდა გრიგოლ ხანძ-
თელის სახელობისა, რექტორი არის
მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე);
ბათუმში წმინდა იოანე ღვთისმეტყველის
სახელობის, რექტორი - დეკანოზი
ბასილ ბერიძე; ფოთის - ახალი საქა-
რთველოს სამსახურის მდგრადი მომართებელი.

ოთველის უზივერსიტეტი - რეგულორი - მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიქაშვილი). სასულიერო სასწავლებლები ასევე ფუნქციონირებს: ცაგერში - წმიდა და მაქსიმე აღმარებლის სახელობის სემინარია, გრემის სასულიერო სემინარია, გორისა და ნეკრესის სემინარი იქნის. ყველა მოქმედ ეპარქიაშია სასულიერო გიმაზიები, პროფილური და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

2011 წლის 2 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II მეორის ლოცვა-კურთხევით, სოფელ დიღომში გაიხსნა წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის საპატრიარქოს პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი, რომელსაც ხელმძღვანელობს მეუფე იაკობი (იაკობიშვილი), კოლეჯის დირექტორია რევაზ შარაბაძე.

მოადგილე - მონაზონი თეკლა (სიხარულიძე). სასულიერო სასწავლებლები ასევე არის ახალქალაქში: წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი და წმინდა ნინოს სახელობის საღვთისმეტყველო სასწავლი.

პატრიარქი ყოველთვის განსაკუ-
თობებულად იყო დაინტერესებული
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში
არსებული ვითარებით. ხშირად ხვდე-
ბოდა როგორც პრაქტიკოს მასწავლე-
ბლებს, ისე განათლების სპეციალი-
სტებსა და ფსიქოლოგებს, მათთან
ერთად განიხილავდა სწავლებისა და
ურთიერთობების მოდელებს. პირად
გამოცდილებებზეც არაერთხელ უსაუ-
ბრია. ერთ-ერთ შეხვედრაზე აღნიშ-
ნა კიდეც, რომ 70-90-იანი წლების
სკოლებში ყურადღება, ძირითადად,
გადატანილი იყო ამა თუ იმ საგანში
ფაქტობრივი მასალის მექანიკურ დაზ-
ეპირებაზე მაშინ, როცა აუცილებე-
ლია, მოსწავლეს განუვითარდეს ღრმა
აზროვნება, რაც სხვადასხვა საგნის
უკეთ ათვისებასა და ცხოვრებისეული
სირთულეების დაძლევაშიც დაეხმარე-
ბა. განათლებული ახალგაზრდები არ
იცხოვრებენ და იმოქმედებენ მხოლოდ
ემოციებით, თავისუფალნი იქნებიან
მაქსიმალურიზმისაგან და ჩვენზე უფრო
გონივრულად, რწმენითა და სიმარ-
თლით ნარმართავენ ცხოვრებასო, ბრ-
ძანა პატრიარქმა.

ასეთი მასშტაბური საგანმანა-
თლებლო კერძების დასაარსების ძა-
ლისხმევისთვის მადლიერმა თანამო-
საგრებებმა შესაბამისად შეაფასეს მისი
გამორჩეული ღვანლი: კათოლიკოს-
პატრიარქი ილია მეორე არის თბილი-
სის სასულიერო აკადემიისა და სემი-
ნარის საპატიო დოქტორი, არჩეული
იყო თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტისა
და სულხან-საბა ორბელიანის პედა-
გოგიური უნივერსიტეტის საპატიო
პროფესორად. 2005 წელს კი უწმიდესი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნუ-
ლი აკადემიის საპატიო აკადემიკოსად
აირჩიეს.

ანიონ ქარლავა,

ქრისტიანული

სელოვნებათმცოდნების ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი



თბილისის სასულიერო
აკადემია და სამინისტრო.



გელათის სასულიერო
კულტურული მუზეუმი

srul iad saqarTvel os kaTol ikos-patriarq
il ia meoris saerTaSoriso saekl esio
urTierTobebi berZnul enovan sapatriarqoebTan

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის საპატრიარქო მოღვაწეობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ეკლესიის ურთიერთობებს ადგილობრივ მართლმადიდებლურ ეკლესიებთან და, მათ შორის, ბერძნულენოვან საპატრიარქოებთან. ყურადღებას შევაჩერებთ რამდენიმე ფაქტზე, რაც ამ ურთიერთობების ზოგად ხასიათს წარმოაჩენს.

XX საუკუნის 90-იანი წლების და-
საწყისში, როდესაც საბჭოთა კავშირი
დაიშალა და საქართველომ როგორც
დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, ახა-
ლი სიცოცხლე დაიწყო, ჩვენს ეკლე-
სიასაც მიეცა თავისიუფლება, მტკიდრო
ურთერთობები დამყარებინა მოძმე
მართლმადიდებლურ ეკლესიებთან.
ამ პერიოდს დაემთხვა საქართველოს
ეკლესის ავტოკეფალიის აღიარები-
სთვის ბრძოლა. რაშიც განუზომელი
ლვანლი და დამსახურება მიუძღვის
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ
ილია მეორეს. სწორედ მან მიმართა
მსოფლიო საპატრიარქოს, რომ ელი-
არებინა საქართველოს ეკლესის ავ-
ტოკეფალობა. ამ მოთხოვნის დას-
აბუთება კონსტანტინეპოლის საპა-
ტრიარქოს წინაშე საკმაოდ რთული
აღმოჩნდა. პატრიარქის დიდი მეცადი-
ნეობით და ქართველ ისტორიკოსებთ-
ან ხანგრძლივი კონსულტაციების
შედეგად, შეგროვდა ყველა ქართული
და უცხოენოვნი წერლობითი წყარო,
რომელთა საფუძველზე საქართველოს
ეკლესის უფროებელად ეკუთვნოდა ავ-
ტოკეფალიურობის სტატუსი. კონ-
სტანტინეპოლის საპატრიარქო სკეპ-
ტიკურად განიხილავდა ქართული ის-
ტორიული წყაროების უტყუარობას და
ართულებდა საკითხის გადაწყვეტას.

„სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა, - იხ-
სენებს პატრიარქი, - კონსტანტინეპო-
ლის დელეგაციამ ისე დატოვა თბილი-
სი, რომ არ დათანხმდა ჩვენს მოთხოვ-
ნას - ავტოკეფალურობის დამადას-
ტურებელ დოკუმენტში ჩაწერილიყო
სიტყვა „აღიარება“ და არა „ცნობა“
(ფრაგმენტი სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორის
გამოსვლიდან სამების საკათედრო
ტაძარში, 2011 წლის 25 დეკემბერი).
სერიოზული კამათი სწორედ ზემოთ
აღნიშნულ სიტყვაზე, „აღიარებაზე“
გაიმართა. ცხადი იყო, თუკი დოკუმენ-
ტში ჩაწერებოდა „აღიარება“, ეს ნიშ-
ნავდა, რომ მსოფლიო საპატრიარქო
ცნობდა საქართველოს ეკლესიის ის-
ტორიულ ავტოკეფალიას და მის მიერ
ამ სტატუსის ხელახლა მინიჭება არ
გახდებოდა საჭირო.

მაშინდელი მიმოწერა ორ საპატრიარქოს შორის ადასტურებს იმას, რომ მსოფლიო საპატრიარქო ნამდვილად თავს იკავებდა ავტოკეფალურობის „აღიარებისაგან“. დღევანდელი გადასახედიდან ცხადად ჩანს, ბოლოს და ბოლოს კონსტანტინეპოლის ეკლესიამ დადებითი გადაწყვეტილება

მიიღო იმიტომ, რომ, ერთი მხრივ
საქართველოს მხარეს ყველა უტყუა
არი საბუთი გააჩნდა საკუთარი პოზი
ციის დასაცავად და, მეორე მხრივ
გადამწყვეტი აღმოჩნდა თავად საქართველოს
რთველოს პატრიარქის პრინციპულობა
სამართლიანობის დაცვაში, იმა
კდროულად - მისი პიროვნული ხიბლი
მოთმინება და თავშეკავება.

ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიურობის აღიარების შემდეგ, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს საჭეთ მცყრობელი მალე გახდა ყოვლადური წმინდესი ბართლომეოს I. (იგი იყო წევრი მსოფლიო საპატრიარქოს ინდელგაციისა, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთა დაკავშირებით იმყოფებოდა საქართველოში).

სწორედ ბართლომეოს I-ის მოღვა
განეობით დაიწყო ახალი ურთიერთო
ბები საქართველოსა და კონსტანტინე
პოლის ეკლესიებს შორის. მსოფლიო
პატრიარქი რამდენჯერმე ეწვია ჩვენს
ქვეყანას. ყოველი ვიზიტისას იგი გან-
საკუთრებით აღნიშნავდა საქართ-
ველოს პატრიარქის დვანლის შესახე-
საბჭოთა ათეისტური რეჟიმის დროს
„კომუნისტური მმართველობის ხა-
ნაში, როცა საქართველოში მხოლოდ
რამდენიმე ეკლესია იყო მოქმედი, და
კეტილი იყო უძველესი მონასტრები
და ხალხი ათეისტური სულისკვეთე
ბით ცხოვრობდა, სწორედ ამ პერიოდში
საქართველოს ეკლესიას უფალმა მოუ-
ვლინა ადამიანი, რომელმაც ერთ ეკლე-
სიის წიაღში დაბრუნა და ღვთის სიტყუ-
ვის ჭეშმარიტება უქადაგა. ილია მეო-
რემ პატრიარქობის მძიმე ჯვარი ღირ-
სეულად ატარა კომუნისტურ ეპოქაში
იგი თავისი დაუღალავი ღვანლით ერის-
ნამდვილი სულერი წინამდლოლი გახ-
და“. (ამონარიდი მისი ყოვლადაფენიზდ

და : „თუ ისტორიული ტერიტორია უკუღებდა და უკუგებდა ესობის, კონსტანტინებოლის მთავარ ეპისკოპოსისა და მსოფლიო პატრიარქის ბართლომეოს I-ის გამოსვლიდან თბილისი, 2007 წლის 7 დეკემბერი), საქართველოსთვის ყველაზე მძიმე დღეებში, 2008 წლის აგვისტოში როცა რუსეთი გორსა და ცხინვალი ბომბავდა და თბილისიც საშიშროების წინაშე იდგა, მსოფლიო პატრიარქმა წერილობით და სატელეფონო პირად საუბრით გამოხატა საქართველოს პატრიარქისა და ჩვენი სამშობლოსადმი თანადგომა და მხარდაჭერა: „მე მნამ თქვენი სიპრძინი, შორსმჭვრეტელობის და ქრისტესმიერი სიმტკიცის მიგულეთ ერთგულ თანამდგომად და თანამოაზრედ“. გარდა ამ სიტყვებისა მსოფლიო საპატრიარქო და კვიპროსის ეკლესიამ ფინანსური დახმარებაც გაუწია ომის შედეგად უსახო ჯროვანი

გაუტის რიც სქედებად უცალკოთ
დარჩენილ ჩვენს თანამემამულებს
„როცა უსამართლოდ იჩაგრება ჩვენის
თანამოძმე მართლმადიდებელი ხალხის
ჩვენი გულხელდაკრეფილი ყოფნა
ლუთის ნინაშე არ იქნება სათონ. თქვენ
ნო უშმინდესობავ, მიიღეთ ჩვენგა
მხარდაჭერა და თანადგომა“, - წერდა
მაშინ ჩვენს პატრიარქს კვიპროსი

ეკლესიის მეთაური, მთავარეპისკოპო
სი ქრისოსტომოსი.

ცალკე აღნიშვნის ლირსია აღლუ
ქსანდრიისა და სრულიად აფრიკის პა
ტრიარქის - თეოდორე III-ის - ვიზიტი
საქართველოში 2008 წლის აგვისტოში
უნმინდესისა და უნეტარესის, საქა
რთველოს კათოლიკოს-პატრიარქი
მფარველი წმინდანის, ილია წინას
წარმეტველის, ხსენების დღეს,
აგვისტოს, საქართველოს ეკლესია
ოფიციალური ვიზიტით ეწვია აღლუ
ქსანდრიის საპატრიარქოს დელეგაციი
ეკლესიის მეთაურის ხელმძღვანელო
ბით. ჩვენს ეკლესიასა და, პირადად
პატრიარქს აღექსანდრიის საპატრი
არქოსთან მანამდეც დიდი ხნის ურთ
იერთობა ჰქონდა, ან განსვენებულ
წინა ორი პატრიარქი, პეტრე - ერთხედ
და ნიკოლოზი - რამდენჯერმე იმყ
ოფებოდნენ საქართველოში. აღექსან
დრიის ანინდელმა პატრიარქმა თეო
დორე მესამემ თავისი მისასალმებელ
გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაი
წყო: „თქვენონ უნეტარესობავ, ქრისტეს
მიერ საყვარელო ძმაო ილია, გამომგზა
ვრებამდე მე მივედი ან განსვენებულ
აღექსანდრიის პატრიარქ ნიკოლოზი
საფლავთან და ვუთხარი: „უნმიდესი
მე მივდივარ საქართველოში ილია მეო
რესთან, ადამიანთან, რომელიც შე
განსაკუთრებით და ძალიან გიყვარდ
მვერა, იგი ხარობს ზეციურ სასულ
ეველში, რადგან ჩვენს ორ ეკლესის შო
რის ქრისტესმიერი სიყვარულით სავს
ურთიერთობა ისევ გრძელდება“ (200
წელი. თბილისი. აგვისტო).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
არქისადმი უდიდესი პატივისცემით
და სიყვარულით, კვიპროსის ეკლესიის
მთავარეპისკოპოსმა ქრისოსტომოსმა
კუნძულზე მცხოვრებ ჩვენს თანამე
მამულებს გამოუყო ცალკე ტაძარი
წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე აღსასა
რულებლად, აგრეთვე დახმარებას უნდა
ევს ისტორიული მნიშვნელობის საქმე
შიც - კვიპროსზე შეა სუკუნეებში
არსებული მძლავრი ქართული კერით
- ღალის მონასტრის - აღდგენას
და განახლებაში. აი, როგორ შეაფასა
უნეტარესმა ქრისოსტომოსმა საქართველოს
მოღვაწეობა: „40-წლიანი პატრიარქი
ქობა ჩვეულებრივი ფენომენი არ არის
ამიტომ ვადიდებთ უფალს, რომ საქართველოს
ეკლესიაზე ასეთი დიდი დივი
იშვიათი წყალობა მოილო. შეუძლებელია,
არ ალვინშნოთ განსაკუთრებულად
ამ მრავალწლიანი ნაყოფიერ
მოღვაწეობის შედეგები. უნეტარესმა
ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო ილია
უფლის ნებამ გამოგარჩიათ ეკლესი
ის საჭირო მცირებულად საქართველო

ის ცავენისაგულისულებულ ცავის მცენარეების
ეკლესიისთვის როზულ პერიოდში. მაშინ
საჭირო იყო ბრძნული გარჩევის უნარი
ეკლესიისა და მორჩმუნე ერის სწორად
ნინამძღლობისათვის. იმ დროს ეკლესიაში
ოქვენ ალიმართეთ ურყევ ბურ
ჯად, არაფრად მიიჩნიეთ თანადროულ
სირთულეები და მომავალს სასოების
შესცემისთვის. თქვენი ქვეყნის და ერი

მრავალ სირთულეს და პოლიტიკურ კატაკლიზმებს დაუპირისპირეთ ქრისტიანული სიმშვიდე და მიძყვებოდით პავლე მოციქულის გახს, სადაც: „... ყოველსა შინა წარუდგინენით თავნი თქვენი, ვითოცა ღმრთისა მსახურთა... ტანჯვათა, პყრობილებათა შინა შფოთებათა, შრომითა და მლვიძარებითა, მარტვითა და სინმიდითა მეცნიერებითა და სულგრძელებითა, სიტკბოებითა და სულითა შმიდითა, სიყუარულითა შუორგულებელითა... ვითარცა მწუხარენი და მარადის გვიხარის; ვითარცა გლაბაკი და მრავალთა განვამდიდრებთ, ვითარცა არარაი გუაქუს, და ყოველივე გუაქუს“ (კორ. 2.6.4-6).

მსოფლიოს ბერძნულენოვანი მართლმადიდებლური ეკლესიების მეთაურთა და სხვა წარმომადგენელთა არა ერთი მოსალოცი ბარათი და საქმიანი წერილი ინახება საპატრიარქოს არქივში. მრავალი მათგანის თარგმნა პირადად მომინია და უნდა აღვნინონ, რომ ყველა წერილი აღსავსეა საქართველოს პატრიარქისადმი განუსაზღვრელი პატივისცემით, სიყვარულით, გაჭირვებაში თანადგომის იმედით და რთულ სიტუაციაში ბრძნული რჩევის მოლოდინით.

საინტერესოა ელადის ეკლესიას-თან ჩვენი ეკლესიის ბოლოდროინდელი კონტაქტები. ამ ურთიერთობებში გამოყოფილ 2004 წელს საქართველოს პატრიარქის თფიციალურ ვიზიტს საბარძნელში.

ეს იყო საპასუხო ვიზიტი ელადის მთავარეპისკოპოს მეუფე ქრისტოფორულოსის ვიზიტისა საქართველოში 2001 წელს, როდესაც თბილისა და ბათუმში ჩამოაბრძანეს წმინდა მოციქული ანდრიას თავის ქალა. ეს სიწმინდე ქალაქ პატრაში საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული. იმ ქალაქში, სადაც ანდრია მოციქული აღესრულა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტის პროგრამაში შედიოდა: ოფიციალური შეხვედრა ელადის ეკლესის მეთაურსა და წმინდა სინოდის წევრებთან, შეხვედრები საბერძნეთის პრემიერ-მინისტრთან, ხელისუფლის მინისტრთან და საქართველოს სამინისტროს მდგრადი მოწვევის მინისტრთან.

ଲୋକୁଟ୍ଟିବୀରେ କାରମନମାତ୍ରଙ୍କାଳେ ହେବାକାରୀ
